



თეზაურუსი

№ 4 1986



ნახ. ზ. ფორახნიძის

ოცდაათწლიანი უკუხილვით და მეთორმეტე სუთფლადით
სულ უფრო განვითარდებიან ჩვენი სოციალისტური უკუნი!

საუ ინტერესი, ადაშიანი?!

აბა, იმას რა მტკიცება უნდა, რომ ადამიანი ბუნების შედეგად, მისი გვირგვინი და სიამაყე?! რამდენი შეუძლია „უღლებო“ უბრუნებელი ღმერთის მიერ თიხისგან მოღველილ ამ საოცრებას! — უნდა ყინულს ააყვავებს, მთვარეზე შესტება, დედამიწის ბნელსა და ქვესკნელში ჩაიხედავს... ამიტომ წერდა მაქსიმ გორკი: ეს სიტყვათასიტყვა დიდი ასოთი უნდა დავიწყოთ! მაგრამ ვაი, რომ ეს კარგად გაცნობილი სიმართლე ყველასი არ არის, ვინც ორ ფეხზე დადის, დანტის თუ დარბის. ფილოსოფოსის მანტიას არავინ წამომასხამს თუ ვიტყვი, რომ როგორც წვეთი ჯერ კიდევ არ არის წყალი, ისე ცალკე ადაშიანიც, საზოგადოების გარეშე, ერთი გამომსმარი სახელი და გვარია, არც რამის მოქმედი და არც აღმთქმელი!

კალმის მადლი ხომ არ მიწურება და მენტორის პოზა მიჭირავს? ღმერთმა დამიფაროს ასეთი ვაი-რამისგან! მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ზოგ ჩვენგანს, ხორციით, ძვლითა და სულით ვითომ ჩვენთან, ჯერ კიდევ კარგად ვერ შეუენია, რისთვის განჩნდა მინის ამ უზარმაზარ ბურთზე, რისთვის სვამს თავის წილ მზეს, საწუთისოფლო რა უნდა აკეთოს, სანამ პირცარიელ, ღია საფლავს საკუთარი სხეულით გააძღვებს!.. არც ახლა ვამბობ რაიმე ახალს, მაგრამ სათქმელი კი არის, რადგან, როგორც ჩანს, ზოგი ჭეშმარიტება მავან-მავანისთვის ძველდებო სოლმე და, აბა, ძველმანებისათვის სადა სცალიათ სისარბის, ნაძარცვ-ნაგლეჯის საფუარით განზე წასულ, ქონსა და უყმი ჭიპაჭყლეტილ ვაჟბატონებს?! აბა, შესუდე, მკითხველო, ამ ცბიერებით გასაპნულ სახეს, მტაცებელ თვალებს, მსუნავი კატის რბილ ნაბიჯებს, სიცრუის თქმით გარყვნილ ტუჩებს, სახეზე აკრულ პატიოსანი კაცისგან ჩამოგლეჯილ ღმილს! — რამდენი შეგვხვდრია ასეთი? ზოგი — მგლის ბაკენბარდით, ზოგი — სუფთად გაპარსული, ზოგი — გომბეშოსავით დარბასილი და ზოგიც — გველის ჭრულ პერანგში კისრამდე შემძვრალი?! იცანი? ბარაქლა! ან რატომ ვერ იცნობდი, როცა შენს გვერდით თუ არა, მოშორებით მაინც ცხოვრობს ფულისა და კეთილდღეობის ეს უწმაწური „გრანდი“, საზოგადოების აბუჩად ავადების ოსტატი, მუდამ საქმიანი საქმოსანი!.. ფუი უშმაკს! — მუდამ რატომ? მაშ, იმ წლებს ანგარიში აღარ ჩავიდეთ, იმ პატიოსან შენობაში რომ არარებს სოლმე, რომელსაც რატომღაც ციხე ჰქვია?! მე რომ მეკითხოს, განსაწმენდელს დავაქმევი, გინა თუ სულთა სამრეცხავს, ან კიდევ სინდისის სასელექციო სადგურს. იქნებ ვიფიქროთ ამაზე? (ჯანდაბას პონორარი! — უფასოდ გთავაზობთ იდეას!). თუ მეტყვი, რომ არ გინახავს, ან არ დავიჯერებ, ან ისე გამიკვირდება, წყალს რომ მტვერი ავარდეს!.. ისიც ვიცი, რამდენი წაიკითხავს ამ წერილს კბილეების კრაჭუნით და, რადგან ასე იქნება, კბილები ჩემი მეგობარი ნიანგისა იკითხონ!..

ისიც ვიცი, შორიდან მეტყვიან, თქვენი ხელობა ვე არის — ფურცელზე უნდა ხნათ და თესოთ, ჩვენმა სისარბემ რა გვატყინა? ჩვენ ჩვენსას ისევ ვიქმთ და მოკლას ხარი თივამო!..

მეტყვიან, მაგრამ, ვაი, ამ თქმას! — საზოგადოება აღდგა ყოველგვარი უკაცურობის წინააღმდეგ! — ვეღარ მოვითმენთ, ვირი რომ თარზე მღეროდეს და მეგელი ფარების გამგედ იდგეს!..

უძღებო შვილო, რომელი დაწყველილი ხისგან გამოთლილ აკვანში გაიზარდე. ისე როგორ გაგვარდა ძირი, რომ შენი ავსება არ იქნა?! ძღობა ვერ მოიკიდე?! მიწასთან განდობილო ცოდვილო, ემაგ ანითხითებულ ოქროს, ცბიერ ვერცხლს, უნასის თვალვიო ანთებულ ძვირფასეულობას, ფულის გაუტხვავ დასტებს ორმოში რომ ყრი, რა გქვია, ის მაინც გვითხარი?! რომელ უშმაკს წავართვათ შენი სახელი?! სისარბე სენია, სულიდან ძველად ამოსაბურტყი და, ვაი, შენ! ამას



წინათ წავიკითხე წერილი სარდაფში მცხოვრებ მარტოხელა ქართულ ოჯახზე, სინესტი-საგან გათუთრებულ ყვავილზე!.. თვალსა და უბრუნებელ სტრიქონებს და, მჯერა, ყველა მაართლა მოქალაქეს ყრუ, მწვევე ტკივილთან ერთად ეძინა იმ ღამეს!.. მარტო შენ აისხამდი ტუჩებზე მქრქალ, ირონიულ, ბატონკაცურ ღმილს! შენ, ვისაც ორი თუ სამი ბინა გაქვს და შიგ უშმაკები გყავს გამოკეტილი, აისხამდი და დინჯად გადალაგებდი სავარძელში ნაბატივებს სხეულს!.. შენ, კერძომესაკუთრე, მომხვეჭელო, რწმენის მეკობრე ხარ! კიდევ კარგი, ვერ სწვდები, თორემ სამშობლოს ციდან ვარსკვლავებსაც ჩამოკრეფდი და საკუთარ სარდაფში ჩაყრიდი, „დიდო ქართველო, დიდო ვაჟკაცო და კაცურო კაცო!..“



ფუი, შენს დამლოცავს!.. ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი საპატიო, მაგრამ მძიმე უღელშია შებმული, კომუნიზმი სხუელა არ არის, რომ ერთი ხელის დაკვრით ააშენო! იგი გრანიტის კოლოსია, კაცობრიობის საუკეთესო შვილთა გაფურჩქნილი ოცნებაა და ამიტომ არც მისკენ სავალი გზაა მსუბუქი ქვით მოკირწყლული! ამ გზის პატრონებს ნაპირსგადასული კუმანი-ზმი არ გვეპატიება! ამიტომ ვერ შევუნდობთ „ჩემიებს“ და „ჩემბაქებს“ იმის ცდას, რომ ბზარი გაუჩინონ ჩვენი რწმენის მძიმე კედელს! — აქეთკენ მოგვიწოდებს პარტია, ხელისუფლება, ხალხი!

კიდევ ერთი კითხვა მიბურღავს ტვინს, ანუ საგონებელში მაგდებს. ეს კითხვა დღევანდელი მომენტის მდგომარეობაზეა: როგორ ხდება, რომ ადამიანს, ვისაც ფრჩხილის ჭუჭყამდე ვიცნობთ, ვისი სიტყვაც ალთას დევს და საქმე — ბალთას, ვისთვისაც თანამდებობა ხალხის სამსახურიდან დაშორებული მცნებაა, ვინც მხოლოდ საკუთარ საქმეთა მმართველი, დირექტორი, გამგეა, უფრო მაღლა ვისვრით სოლმე კარიერის კიბეზე?! — კაცს, რომელსაც კოლექტივი შინაგანად არ უნდობა, მდგროვეს, კვაჭი კვაჭანტირაძის ნაბუშარს?!. გეტყვით, როგორ ხდება — სიომამე არ გვეოფნის, პირდაპირ ვთქვათ სიმართლე!.. ის კი, ის ამ სიმუნჯეს თავის სასარგებლოდ ალაპარაკებს სოლმე... და მორჩა საქმე!.. მერე გვიკვირს — ვინ დანიშნა? რა ვიცი? როგორ დანიშნეს?! რატომ დანიშნეს?! — და ა. შ.

„აი, მიზეზი, სულს ჩემო, აი, მიზეზი!“ — როგორც შექსპირი ბრძანებდა!..

სარბი, საკუთარ კეთილდღეობაში ჩამწყვედიული პიროვნება ჩვენი დღევანდელი მომენტის, ჩვენი აწმყოსა და მომავლის შვილი ვერ იქნება! ასეთი მხოლოდ იხვევს, საკუთარი „მე“-ს მძიმე ბოძზე მაგრად აბია და საერთო-სახალხო საზრუნავს ახლოსაც არ ეკარება!.. ვიყოს ბოლომდე მართალი! განა ასეთს შეუძლია მზის ქვეშ კაცურად იცხოვროს?! ქვეყანას მართლა შვილი გაუზარდოს?! არა მგონია! არა მგონია, რადგანაც სხვისი ჯიბიდან ამოცლილი ლუკმით დამსხვილებული სხეული ჯერ კიდევ არ ნიშნავს აღზრდას! რას სწავლობს ბავშვი ასეთ ოჯახში? — პირველ რიგში — ეგოიზმს, სხვათა ინტერესების არაფრად მიჩნევას!.. და რაც მთავარია, მასში თანდათან იბუდებს საკუთარი გამორჩეულობისა და განსაკუთრებულობის გრძობა!.. მისთვის ადამიანი მაღალი მცნება კი არა, სრულიად გაუგებარი, ყრულ ჩაკეტილი კატეგორია!.. ასე ეწვევა მოზარდი ძლიერის წინაშე ლაქუნს, კარიერისმს, ასე იქმნის თავის გარშემო სიცარიელესა და ვაკუუმს!.. ყველაფერს არშინით ზომავს და საანგარიშოზე ითვლის!.. განა შეუძლია საზოგადოებას ამის მოთმენა?!

განა ხალხის სისხლით გამოთბარი ტკიპები უნდა ნებივრობდნენ ჩვენს სხეულზე?! საქართველო, მისი წარსული და აწმყო,



მისი გელათი და სვეტიცხოველი, მისი მზიანი კულტურა უსსოვარიდან დღემდე მშრომელ, პატიოსან, გამრჯე ქართველს უტარებია! განა არა, — გარდასულ დროშიც ყოფილან ერის უბიდან გავარდნილი არაკაცები, ქისაში რომ ექმდნენ ამქვეყნად თავიანთი ყოფნის აზრსა და მიზანს!.. მათი „მონაღვაწია“ მკერდში დაჭრილი მარამბდა და ცრემლიანი კრწანისი, შორეთში გაყი- დული ქართველი ტყვეების გაბმული კვნესა, გლოვის ზუზუნი და შავთავსაფრიანი დედუ- ბის ცრემლად ჩამდნარი თვალები!.. ეს ძვე- ლი სენი — მუდამ პირდაღებული სიხარბე და მომწვეჭელობა — დღესაც ჩვენი მტერია — საშიში, დაუნდობელი, თვალისხლიანი მტერი! როცა ხალხი, ვრი ქართული აგუ- რით, ქართული კირითა და დუღაბით აშე- ნებს საქართველოს უკეთეს მომავალს, როცა მოძმე ხალხებთან ერთად მზისკენ მიდის, ჩვენს გვერდით ტრიალებენ ადამიანები, რო- მლებიც ჩემოდნებში, რკინის ყუთებსა და სეიფებში ამწყვდევენ კეთილშობილ თვლებს, სამკაულს, ფულს, ფასეულობას — მოპა- რულს, წაგლეჯილს, გარყვნილი სელებით მოტაცებულს!.. შეუძლებელია, ასეთის ნაბი- ჟი არ სტკიოდეს ქართულ მიწას, შეუძლე- ბელია, მისი ნაწოვი ძუძუ არ ეწვოდეს სა- ქართველოს, რადგან ჩვენში ოდიფანვე სინ- დისი და შინაგანი, სულიერი სიმართლე მი- იჩნეოდა კაცობის უტყუარ საზომად! სული რომ ღებება, სხეულიც ყროლდება სოლმე და ირგვლივ ყველაფერს წამლავს!.. თანა-

მედროვე მექლანაშვილები მსუბუქი ავტო- მობილებით დასრიალებენ, ნაპატივებ სხუე- ლებს მდიდრულად მორთულ ბინებში აც- ხოვებენ, მაგრამ მაინც ასე ყარან მათი გვარები და სახელები!.. დიას, განგაშის ზა- რის შემოკვრა გვმართებს, როცა გუშინ, ხალხის ნდობით შემკული, პატივითა და მა- ლალი თანამდებობით დამშვენებული კაცი, ხალხის მსახურად დადგენილი, დღეს და- მნაშავედ მოგვევლინება და კანონი გაასი- ლაქებს სოლმე! სამართალი უპუროდ არ რჩება, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია! უფრო მეტი სიფხიზლე გვმართებს საზოგა- დოებას! როგორც მაგრად შეკრულ მუშტში ბუზი ვერ შეფრინდება, ისე ვერ უნდა შეძ- რეს და შეცურდეს ასეთი არაკაცი იქ, სა- დაც მისი ადგილი არ არის! — ამას გვასწავლის პარტია და ჩვენი რწმენის კედელიც ამ წი- ნა ხაზზე უნდა გავავლოთ!

დიას, კოლექტივის ძალეს, აპეური ამოს- დოს სიხარბის, კერძომესაკუთრების, მომ- სვეჭელობის და უზნეობის თავგასულობას, ნიღაბი ახადოს სიყალბესა და ფარისევლო- ბას!.. უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი ვარ და გამკვირვებია — რატომ არის, რომ მისხალები გამოცდების საგნობრივი კომისიის თავმჯდომარეობა ღამის დამატებით საშტა- ტო ერთეულად იქცევს ზოგიერთისთვის?! რა- ტომ არის, რომ ზოგნი ყოველწლივ არიან კომისიის წევრებად, ზოგნი კი საერთოდ არ ყოფილან?! თანაც ამ უკანასკნელებს ტკი- ვილსაც ვაყენებთ, როცა პრესაში ვწერთ, კომისიის წევრებად მხოლოდ მორალურად წმინდა და ცოდნით აღჭურვილ პირებს ვირ- ჩევთო!.. როგორ იცლის მავანი, მთელი წლის მანძილზე ვითომ მოუცვლელი, მაინც- დამაინც საზაფხულო მისაღები გამოცდები- სათვის?! ან როგორ ხდება, რომ სტუდენტმა უკვე სექტემბერში არ იცის ის, რაც აგვის- ტომი ჩააბარა?!

მძიმე სათქმელია, მწარე სათქმელია, მაგ- რამ ასე! აბა, ამის შემდეგ რატომ უნდა გაგვიკვირდეს, თუ სიხარბის ყმული ზოგ- ჯერ უმაღლეს სასწავლებელშიც განისმის სო- ლმე?! არავის უნდა მივცეთ უფლება, კო- ლექტივს პირში ჩვარი ჩასწაროს!


დუმილი დღეს დანაშაულია!
ზოგჯერ გვატყუებენ — ვდუმი- ვართო!..

უსამართლობას ვხედავთ — ვდუმივართო!..


დუმს პატიოსნება და ნამაღლა ხარხარებს, ფრთებს შლის უდიერება!.. არა და არა! არ გვეკადრება ზოგიერთს ასეთი რამ! საკუთა- რი პატიოსნება ჯერ კიდევ არ არის მოქა- ლაქეობრიობა! ეს უკანასკნელი აქტიური პოზიციია, საკუთარი რწმენის პარიკადებზე დგომა! — ამას გვასწავლის პარტია, ხე- ლისუფლება!

ჩვენი მწერლობა, სელოვნება, ტელევიზია, რადიო, პრესა პარტიული პრინციპულობით, დაუნდობლად ებრძვიან ყოველგვარ ნეგა- ტიურ მოვლენასა და ყველა ჯურის ანტი- პოდს. რა თქმა უნდა, ამ დიდ საქმეს „ნიან- გიც“ მეურვეობს, ბასრი ფიწლით დასდევს ყველას და ყველაფერს, რაც წინ ეკლად გვიგდია და სატირით ამათარაებს, სიცილით ნთქავს!.. ამ ბოლო წლებში უფრო მეტად გაიღვსა კბილი, მადასაც კარგს ამბობენ! ასე ხდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობას და თვალი მომავ- ლისკენ უჭირავს!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



ნახ. ბ. ზუზაზვილისა



უსიტყვოდ



ხოლო კაცი (უნდა ფრთხილად ვიმოქმედო აქ მე) -

ზოგი კაცი ხორცეულის, ბოსტნეულის გარდა, ფქვილეულის, ხილეულის, ტკბილეულის გარდა, გეანლებათ დელიკატესს, გასაოცარს ყოვლად - არა შრომით, არა გარჯით მოპოვებულ დოვლათს!..

ღიას, ზოგი ფულს მიირთმევს, ვით უტკბილეს ნუგბარს! ამის გამო არ ამინებს შიშის მწარე ლუკმაც! შიშთან ერთად დროსაც ქანქლავს უაზროდ და უქმად! ასეთ კაცთან თანადგომა მამაღმერთმა ნუ ქნას!..

სირცხვილს ჭამს და ვერა ძლება, ზოგჯერ ასეც ხდება - აბრეშუმის ჭიის მსგავსად მალე სულიც ჰხდება!..

... არაფერი არ სჯობია ქვეყანაზე, ძაძა, ალალი გზით მოწეული ლუკმაპურის ჭამას!

ოთარ შალაგაბერიძე

ჭამას ბევრი, ბევრზე ბევრი სინონიმი ახლავს: ლოღნა, ლოღნა, თქველუფა, სვლეპა, ცეცხლვა, ხეთქვა, ხანხვლა!..

აქ წერტილის დასმა მსურდა და ნაპირზე გასვლა, მაგრამ ხელი მიჰყვა კალამს: მირთმევა და ხანხვლა, ტყვრომა, ქანქლავა, თქლაფათქლუფი, სრაჰუნი და ღმურძვლა!.. სდექ, კალამო! - შორს წავგიყვანს ჭამის წიგნის ფურცვლა!..

მხეცი ხორცს ჭამს (ჯერ ოთხფენა მხეცებთან გვაქვს საქმე); შინაური ფრინველები მიირთმევენ საკენკს; ცხვარ-ძროხა და მისთანები - კეთილშობილ საკვებს!..

ოსტაბ ლუგოვის შავონახანი

● იშპა სულგრძელი! - შეუნდე თანამშრომლებს შენი საკუთარი შეცდომები!

● გარისპა! - სცადე, საკუთარ თავზე გამოიყენო მატერიალური სტიმულირების ყველა ფორმა!

● თვალნი ადევნე შენს მტყუველებას! - გახსოვდეს, რომ „ასე ვთქვათ“ და „ესე იგი“-ს გარდა სხვა გამოთქმებიც უნდა იხმარო!

● იშპა სამართლიანი! - ნუ დაიბოლმები შენს მიერ განაწესებულ თანამშრომლებზე!

● ალზარღა შენს თავში იუმორის გრძნობა! - ღიმილით გადაიტანე სხვისი უსიამოვნებანი!

● იშპა გულწრფელი! - თამამად განაცხადე, რომ არ ეთანხმები უფროსს!

● თვალს ნუ დასუქავ წვრილმანებზე - მათგან დიდი უსიამოვნებები იზრდება!

ლაკონიზმები

● სიმალე - ეს სიღრმის გაგრძელებაა.

● ერთი კაცობაშია ისე ეზინოდა ადამიანებისა, რომ მშვიერი დადიოდა.

● წამი არ ჩერდება, რადგან იგი მშვენიერი მხოლოდ მოძრაობაში იყო.


● იმ კითხვებზე, რომლებზეც თვითონ ვერ სცემდა პასუხებს, ადვილად პასუხობდა სხვებს.

„ლიტერატურაია გაზეთა“-დან თარგმნა სულხან ჯორჯანაძე



ნ. გ. ლოლუბისი

როგორ ფიქრობ, იბოვის რამეს?
რა თქმა უნდა!
რომელ ნაწილში?
პალტოს მარცხენა ჯიბეში!



ანუ ღეროვანი ინსტიტუტი

— ბატონო რეზო! „ნინავი“ სული-
თა და გულით გილოცავთ თქვენ და
კინოფილმ „ცისფერი მთების“ დამდ-
გმელ კოლექტივს ესოდენ მაღალ
ჯილდოს — სსრკ სახელმწიფო პრე-
მიას! ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ,
გვითხრათ, გაქვთ თუ არა გულში
იმედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს
ლენინურ პრემიასაც მიიღებთ და ნო-
ბელსაც?

— ორთავეს ვერა.
— რომელ დაწესებულებაში იმუ-
შავეთ ყველაზე დიდხანს?
— კინოსტუდია „ქართული ფილ-
მის“ სასცენარო-სარედაქციო განყოფი-
ლებაში.

— ყველაზე ცოტა ხანს?
— ჟურნალ „მნათობში“ რამდენიმე
საათი. ბრძანების დაწერიდან ბრძა-
ნების გაუქმებამდე „ვიშუავე“, რაც
რედაქტორთან საუბრით ამოიწურა.
სამწუხაროდ, თანამშრომლებმა ვერ
შემნიშნეს.

— ხდებოდა თუ არა და, საერთოდ,
ხდება თუ არა ჩვენს რედაქციებში
„დაუჯერებელი ამბები“?

— ხდებოდა, მხოლოდ გაანჩია, ვის-
თვის. ერთისთვის დამაჯერებელი
(ე. ი. ჩვეულებრივი), მეორისთვის
დაუჯერებელი, არაჩვეულებრივია და
პირიქით. ერთ-ერთ ავტორს (ასე და-
აჯერეს!) დღემდე ჰგონია, რომ მისი
რომანი ერთ დროს ერთი რედაქციის
ფანჯრიდან (მესამე სართული) პირ-
დაპირ ქუჩაში მოედნამდე მოვის-
როლეთ.

— ჩვენი კრიტიკა ლიტერატურული
იუმორის თვალსაზრისით ყველაზე
მაღლა აყენებს ნოდარ დუმბაძესა და
რეზო ჭეიშვილს. ჩვე-
ულებრივ, თქვენს წინაპრებად ასახელებენ
აკაკი წერეთელსა და და-
ვით კლდიაშვილს. ვის თვლით თქვენს
წინაპრებად რუსულ და
მსოფლიო კლასიკაში?

— ტოლსტოის, გოგოლს, ჩეხოვს, სერვანტესს,
სვიფტს, მარკ ტვენს,
სტენდალს, შერიძეს, აკუტაგავას, კაფკას...

— ფელინი უფრო დიდ კინორეჟისორად
მიგანჩიათ თუ ჩაპლინი?
— მაინც ფელინი.

— ხომ ვერ დავვისახელებდით ყველაზე
დიდ ქართველ კომიკოსს
(ქალსაც, კაცსაც)?

— ვერ დავვისახელებთ. სულ ახლანან
„თეატრალურ მოამბეში“
იპოლიტე სვინია გავისხენე; ძალიან
მიყვარდა სესილია თაყაიშვილი.

— რა აზრის ბრძანდებით ჩემზე და
ჩემს მეგობრებზე, ანუ თქვენს
შვილებზე და, საერთოდ, ჩვენს
თაობაზე — გატყობთ თუ არა იუმორის
გრძნობას და არის თუ არა მოსალოდნელი
ჩვენი თაობისაგან მნიშვნელოვანი
ამბები — დაუჯერებელიც და დასაჯერებელიც?


— თქვენგან ყველაფერი მოსალოდნელია!

— მიესალმებოდით თუ არა საქართველოს
მწერალთა კავშირში
სატირისა და იუმორის სექციის შექმნას
(პოეზიის, პროზის, დრამა-
ტურგიის... სექციების მსგავსად)? ხომ
ვერ ჩამოთვლიდით რამდენიმე
კაცს, ვინც ამ სექციის ხელმძღვანელად
გამოდგებოდა?

— ვერ მივესალმები. იქნებ ეს
დარგი, ჟანრი (თუ რა დავარქვა),
მაინც დავტოვოთ უსაქციოდ და
უსანქციოდ.

— საკუთარ იუმორზე თუ გეცინებათ?
— ხანდახან.

ცნობილ ქართველ მწერალს, რეზო ჭეიშვილს, და-
ბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. საინტერესოა ის შემო-
ქმედებითი გზა, რომელიც მწერალმა განვლო. ეს გზა 1959
წელს უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის აღმა-
ნახ „პირველ სხივში“ გამოქვეყნებული მოთხრობებით და-
იწყო. პირველ წიგნს, რომელსაც „ზნაინეთი“ ერქვა, ქართ-
ველი მკითხველი 1962 წელს გაეცნო. მას შემდეგ მწერ-
ლის მრავალი წიგნი გამოიცა როგორც ქართულად, ისე
რუსულ თუ უცხო ენებზე.



მწერალმა დიდხანს და ნაყოფიერად იმუშავა კინოსტუ-
დია „ქართული ფილმის“ სასცენარო კოლეგიის წევრად,
მუშაობდა აგრეთვე ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში პრო-
ზის განყოფილების გამგელ. ამჟამად იგი აღმანახ „საუნ-
ჯის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეა.
1985 წელს რეზო ჭეიშვილს მიენიჭა სსრკ სახელმწიფო
პრემია კინოფილმის — „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებე-
ლი ამბავი“ — სცენარისათვის.
რეზო ჭეიშვილი ჟურნალ „ნინავის“ ყოველთვის სასურ-
ველი ავტორი და სტუმარია.

— ვადაიღებთ თუ არა ფილმს თქვენ
თვითონ?

— ახლა აღარ, თუმცა, მოლაპირ
იყოს, არც ახალგაზრდობაში ამომ-
დიოდა სული ფილმის გადაღების
ნატვრით.

— დადგებოდით თუ არა თბილისის
„დინამოს“, ან ქუთაისის „ტორპე-
დოს“ მწვრთნელად? გეყოფათ თუ
არა საამისოდ საბუღალტრო საქმე-
ების ცოდნა?

— მწვრთნელად მე არავინ დამაყე-
ნებდა, ძალიანაც რომ მდომებოდა;
ბუღალტრად არ დავდგებოდი, ძალი-
ანაც რომ მოწოდებინათ და სათანა-
დო ცოდნა და გამოცდილებაც რომ
მქონოდა. თქვენ სხვა რამე გაინტერე-
სებთ, ცხადია. (რიგით შეცამტევე შე-
კითხვა კვიპატიათი გამოდგა). ფუნ-
ბურთს უნდა ანგარიში: მიმატება, გა-
მოკლება და გაყოფაც!..

— რას დაარქმევდით „ნინავის“
დამატებას („ნინავის“ ბიბლიოთეკას)?

— „სვლიკს“. კარგია სვლიკი, დინო-
ზავრიც (ცოტა მოზრდილი სვლიკია),
სხვათა შორის „ნინავი“ კი ნამდვი-
ლად არ მოშწონს. რბილად რომ
ვთქვათ, მოთრეული სახელწოდებაა.
ვინმე რომ რაიმეს შეკითხებოდეს,
სიამოვნებით გამოვაცხადებდი კონ-
კურსს და თქვენს ჟურნალს ქართუ-
ლად მოვინათვავდი.

— რა უნდა გავაკეთოთ ნინაველებ-
მა, რომ უკეთესი ჟურნალი გამოვ-
ცნეთ? გვიპირებთ თუ არა თქვენ პი-
რადად მეტ თანადგომას და დახმარე-
ბას?

— ნინაველებმა უკეთ ზეით, როგორ
უნდა გამოსცნეთ უკეთესი „ნინავი“.
ოდესღაც თქვენთვისაც „გამი-
წვია სამსახური... მაგრამ ამაზე არას ვამბობ“. ოლონდ, მას შემდეგ
ნამეტანი დავესერიოზულდი და როგორ შევძლებ თქვენს „დახმარე-
ბას“, წარმოდგენა არა მაქვს.

რაც შეეხება თანადგომას,
ოდესღაც თქვენთვისაც „გამი-
წვია სამსახური... მაგრამ ამაზე არას ვამბობ“. ოლონდ, მას შემდეგ
ნამეტანი დავესერიოზულდი და როგორ შევძლებ თქვენს „დახმარე-
ბას“, წარმოდგენა არა მაქვს.

— რატომ წაბრძანდით მოსკოვს სახელმწიფო პრემიის მისაღებად.
მატარებლით და არა თვითმფრინავით? ესეც ხუმრობად უნდა ჩაით-
ვალოს, თუ გეშინიათ ფრენის?

— მისასწრებად არ მქონდა საქმე და არ ავჩქარებულვარ. საერ-
თოდ კი თვითმფრინავით მგზავრობა (შინიც არაა გამორიცხული)
არ მსიამოვნებს, არ მიყვარს და ბერისაგან განსხვავებით (ჩემი სი-
სულელით, რაღა თქმა უნდა), რაც არ მიყვარს, რაც არ მსიამოვნ-
ებს, არ ვაკეთებ; ვინც არ მიყვარს, ვისი დანახვაც არ შემიძლია,
რატომღაც თავს ვარიდებ სოლმე.

— თქვით რამე თქმე ჩირგაძეზე!
— ჩირგაძეზე რა უნდა ვითხრა? რასან ეს კითხვა დაგებადათ,
ჩირგაძეს უკვე უთქვამს თავისი სათქმელი, თავისი სიტყვა და კიდევ
მეტს იტყვის; დარწმუნებული ვარ.

— ხომ არაფერს ამზადებთ „ცისფერი მთების“ მსგავსს?
— ვაპირებთ, კი. დაახლოებით იმდავარი რაღაცის გაკეთებას
ვაპირებთ, მაგრამ ვუჭვობ, მეორედაც ვკითხრან მადლობა.

ესაუბრა ირაკლი ჭანტუაძე

მეგობრული შარჟი მწერალ თინათინ გოგოლაძისა

მოთხოვნით მთავრობისადმი

ქართული
სოციალიზმი

„საქსოველმრეწვის“ სპეციალიზებული სამართველოს ყოფილმა უფროსმა მურაან ალაქსანდრას ძე ჭარბაძემ მართლაც რომ დიდად გადააჭარბა თანამდებობრივ უფლებებს. მან სამუშაოთა მწარმოებელ **ალაქსანდრა ისაქის ძე ორბოძასთან** ერთად ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა და 1982 წლის ოქტომბრიდან 1983 წლის თებერვლამდე დაიტაცა 54.505 მანეთი. ამ შვებულსავე მათ ხელი შეუწყვეს **ალაქსანდრა ჭარბაძე** და **ვახტანგ მარტოშვილი**, **თავაზ ნასყიდას ძე წიკლაურა**, **გიორგი მამუკას ძე გოგოჭურა**, **ზაურ იოსების ძე მამუკაშვილი**. ისინი შესაბამისად მუშაობდნენ თელავის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ელექტროინჟინერად, „საქსოველმრეწვის“ მშენებელ ოსტატად, თელავის რაიონის თეთრწყლების მეხილეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, აგროსამრეწველო გაერთიანების რევიზორ-ბუღალტრად.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (თავმჯდომარე ი. გოგილაშვილი) მ. ჭარბაძეს 12, ხოლო ა. ორბოძას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ქონების კონფისკაციით, გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. სხვადასხვა ზომის სასჯელები შეეფარდათ ა. ზაალიშვილს, თ. წიკლაურს, გ. გოგოჭურს და ზ. მამუკაშვილს.

განაჩენით სასხანკის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიგანყოფილებაში დატაცებულ თანხებიდან (დებონირებული 41.060 მანეთი) 7.720 მანეთი გადაერიცხა თეთრწყლების საბჭოთა მეურნეობას, ხოლო 33.340 მანეთი — „საქსოველმრეწვის“. აგრეთვე დაზარალებული ორგანიზაციების სასარგებლოდ მ. ჭარბაძეს და ა. ორბოძას დაეკისრათ 11.568 მანეთის გადახდა. აქედან დამოუკიდებლად მ. ჭარბაძეს გადახდებოდა 1.183 მანეთი, ხოლო ა. ორბოძას — 5.002 მანეთი.

ქ. თბილისში ერთ-ერთი ვაჭრობის სამართველოს № 679 სავაჭრო სისტემაში თანამდებობის პირები იყვნენ ზაირა და-ვითის ასული თორია — № 8 მაღაზიის გამგე, როლანდ სეპირიანის ძე წულიკიძე — № 16 მაღაზიის გამყიდველი და შურა კლიშინის ასული ჭანტუარი — ბუღალტერი. შეკავშირდნენ შეთქმულნი და სამსახურებრივი სიყალბის გზით დაიტაცეს 86.924 მანეთი. აქედან ჭანტუარიმ წულეისკირთან ერთად 57.669 მანეთი, ხოლო თორიასთან ერთად 29.255 მანეთი.



სახელმწიფო თანხების დიდი ოდენობით დამტაცებულთა საქმე მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის სსდომაზე. კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენით შ. ჭანტუარი 13 წლით, რ. წულეისკირს 12 წლით და ზ. თორიას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

ჭურბან მამედოვს გაუჩნდა სურვილი, უშრომლად ბევრი ფულის მფლობელი გამხდარიყო. ერთხელაც გვარიანად გამოთვრა და საკუთარ ბინაში ყაჩაღურად მიეჭრა მოქალაქე ვ. ხოდერიანს, რომელსაც რევოლვერისა და დანის მუქარით წაართვა 900 მანეთი და 500 მანეთის სამპროცენტისანი ობლიგაცია.

დამნაშავე შეიპყრეს და მისი საქმე განიხილა გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომლის განაჩენით ყ. მამედოვს შეეფარდა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით, შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. მასვე დაეკისრა ვ. ხოდერიანის სასარგებლოდ 900 მანეთისა და 500 მანეთის სამპროცენტისანი ობლიგაციის გადახდა. ეს განაჩენი ძალაში დატოვა ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ქარხანა „მიონის“ მუშას **ქანი აპაქის ძე სითარიძეს** 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ქონების კონფისკაციითა და გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. რამ გამოიწვია მართლმსაჯულების ესოდენ მკაცრი სასჯელი?

ქ. სითარიძე დიდხანს ემზადებოდა იმისათვის, რომ გაეჭურდა ქარხნის მეორე საამქროს შედუღების უბანი. მან დაამზადა კაპრონის თოქისაგან კიბე, რომლის გამოყენებით ქურდულად შეაღწია მეორე საამქროს შედუღების უბანში. იქიდან გაიტაცა 64.694 მანეთის საქონელი. საბედნიეროდ მან ვერც მიმალვა მოასწრო და ვერც ნაქურდალის რეალიზაცია. იგი შეიპყრეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ქუთაისის ვაჭრობისა და სახვების სამართველოს მე-17 გაერთიანების № 112/12 სასურსათო მაღაზიის სავალანტერო სექციის გამგე ლიზა ტარასის ასული ლადაძე და **მე-17 გაერთიანების დირექტორის მოადგილე გარამინ ალაქსანდრას ძე ჩივაძე** ბოროტად იყენებდნენ თანამდებობას, განზრახ სჩადიდონ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედებას, სამსახურებრივ სიყალბეს, ოფიციალურ დოკუმენტებში შეჰქონდათ ყალბი შინაარსის ჩანაწერები, ამასთან მაღაზიის გამოყიდვების მოტყუებისა და მათი ნდობის ბოროტად გამოყენების იტაცებდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხებს. დანაშაულებრივი გზით მათ ულრალად ორ თვეში გამოუვლინდათ 37.623 მანეთის მითვისება. დამნაშავეთაგან შემუშავებული მომხვეჭლობის ხრიკები მთლიანად ამხილა ქუთაისის საქარსნო რაიონის პროკურატურამ.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (თავ-რე ი. ტყემელაშვილი) ლ. ლადაძეს და გ. ჩივაძეს შეუფარდა 11-11 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით. მათვე სასჯელის მოხდის შემდეგ 4-4 წლით ჩამოერთვათ სახვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში მუშაობის უფლება. მსჯავრდებულებს სოლიდარულად დაეკისრათ 36.088 მანეთის გადახდა ქუთაისის ვაჭრობისა და სახვების სამართველოს სასარგებლოდ.

ს. სხაპელი

ფ რ ა ზ ე ბ ი

- **3056** თამბაქო მოიწია, ფული მიიღო, ვინც მოსწია — ინფარქტი.
- **ჯამ** კოლექტივი დაკბინა და ბოლოს თითზე საკბენი გაუჩნდა.
- **ჭურჭი** ვინც იჭდა, კორსაც ის ავრცელებდა.
- **ცოლი** არ ითხოვა და მათხოვარს დაემსგავსა.
- **სასოფლო** ინსტიტუტი კი დაამთავრა, მაგრამ თავი სასოფლოდ მიანც ვერ გაიმეტა.

ოთარ ნაზაზიძე

„რბრმ და როგორ ხდება ის, რომ, ჩვეულებრივ, „ქურდული ელიტა“ კოლონიებში პრივილეგიებულ და შეღავათიან პირობებში იხდის სასჯელს, მათთვის იქმნება საგანგებო საცხოვრებელი პირობები. ზოგიერთი მათგანი კოლონიაში ხალიჩებით გაწყობილ ცალკე ოთახში ცხოვრობს, აქვს ფერადი ტელევიზორი და, თქვენ წარმოიდგინეთ, კონდიციონერიც კი“.




— შეშოდი, უფროსო, ჩემთან კამერაში და აქედან უყურე ფეხბურთს!

ქურდის ზეგია

ფულიც გქონდა, პურიც გქონდა, ღვინოც გქონდა, სული — არა...
და უსულომ, ფულის დარღით,
ვერ გაუძეღ სულ იარას!
„სიკვდილამდე რომ გიყვარდა შენი ქვეყნის მთა და ბარი“,
ფულმა ისე დაგადაბლა, კაცი გახდი „თავმდაბალი“.
და იმდენი ფული ზვეჭე, გახდი „სახელმოსხვეჭილი“!

შენ გიმტყუნა ბედმა, თორემ რას დააკლებს ოხერს ჭირი?!
„საქმეები“ შენიც, სხვისიც ისე მოაკვარახტინე,
რომ არავის გაუგია, არცა არაბს, არცა ჩინელს!..
ზევით ისე მიიწვედი, რომ ვერ მოგწვდა ვერვის მუშტი!
ვას, რა ბიჭი წაგვიხიდი და ვას, რა ბიჭი გაგვიფუჭდი!
შენი თეთრი „ვოლგა“ ახლა შავებშია გახვეული!..
შენზე „დარღით“ ხელით დამაქვს გული — ორად გახვეული!..
ზოგი შენი უბნის არი, ზოგი ჩემი უბნის არი, —
ვის შევჩვილო? ყველამ ერთად მომიღერა შუბ-ისარი!
ნამუსის ქულს ვერ სწვდი, თორემ ქვეყნად რაა ქულის მეთი?!
ეპ, რას იზამ, ჩემო ძმაო, ასეთია ქურდის ბედი!

მეგვინი ბართია



ნათქვამია, თევზს ბოლო-დან ვერ დაიჭერო, მაგრამ ეს როდი შეისმინა ქ. რუსთაველი (ლენინის პროსპექტი № 1-36) მცხოვრებმა ვლადიმერ ივანეს ძე მოხვეიშვილმა. ვლადიმერი ადრეც დააკავეს მტკვარზე ნებადართულად აღვივებულ აკრძალული იარაღით თევზობისათვის, 32 სრამული ჩამოართვეს და მასალები ამხანაგურ სასამართლოს გადასცეს.

— საზოგადოებრივი გაიციხვა! დიდი ამბავი! — ჩაიქირქილა ვლადიმერმა, როდესაც ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება გამოუცხადეს. მერე კი რეზინის ნავით უნმაუროდ შეეცურდა აკრძალულ ზონაში კაშხალთან და თევზობა განაგრძო...

რუსთაველ ავთანდილ სიკოს ძე ჯაჭვადეს (მცხოვრები კეცხოველის ქ. № 46-ა), ავთანდილ მოხვეიშვილისაგან განსხვავებით, „თევზობის“ სულ სხვა „სტილი“ ჰქონდა. იგი მტკვარზე მხოლოდ ღამით „თევზობდა“ და თან გალაკტიონის სიტყვებს წამდაუწუმ იმეორებდა: ჩვენი ორნი ვართ ქვეყანაზე — მე და ღამე, მე და ღამეო, მაგრამ იმ ღამით, 11 საათზე, მორიგი „თევზობისას“ ჯაჭვადე ჯაჭვისებური ბადის მოქმედის დროს მარტო არ აღმოჩნდა, თავზე თევზდაცვის ინსპექტორები წამოადგენენ, აქტი შეუდგინეს, უკანონოდ დაჭერილი სრამულის ჯიშის თევზები ჩამოართვეს და მის მიმართ მასალები ამხანაგურ სასამართლოს გადაუგზავნეს.



ავთანდილ ჯაჭვადეს, კიდევ კარგი, არ იცნობდნენ, ქორეკმე მსუქლი პრიმიტიული თევზობის მეთოდს რომ გაცნობდნენ, სასაცილოდაც არ ეყოფოდათ. საქმე ის არის, რომ ჩაბარაშვილი, კირკიტაძე და წიკლაური უფრო „ფართო მასშტაბის თევზობის“ მოყვარულნი იყვნენ და ლიფსიტებისათვის (მათი გამოთქმა) თითხაც არ დაისვენებდნენ.

დავით ჩაბარაშვილის თავკაცობით „შესანიშნავმა სამეულმა“ ბლომად მოიმარჯვა მომწამლავი ნივთიერება ქლორი, ფაცერი და სხვა აკრძალული თევზსაჭერი იარაღები და გამთენიისას მდინარე ალაზანზე, სოფელ ვარდისუბანთან, თავიანთი შემუშავებული მეთოდით დაიწყეს თევზის ჭერა. წიკლაურმა ტრაქტორის საშუალებით მოხერხებულად გადაკეტა ალაზნის ერთი ტოტი. ჩაბარაშვილმა და კირკიტაძემ რკინის პალოებით დაამაგრეს და ჩადგეს ფაცერი. შემდეგ ცელოფანის პარკით მდინარეში ქლორი ჩაყარეს, სულ მალე ალაზნის ტოტი მოწამლული თევზით მოისარკა!...

— ნოდარჯან, ჯერჯერობით 270 ცალი სრამული, 109 მურწა და 54 ცალი სხვა ჯიშის თევზია! — გახარებული ეუბნებოდა დავით ჩაბარაშვილი კირკიტაძეს და თევზობას განაგრძობდა... — ჩათვალე, 900 მანეთი ჯიბეში გვიდევს!.. — ჩაბარაშვილს თევზდაცვის ინსპექტორებმა შეაწყვეტინეს უადგილოდ წამოწყებული ტრაბახი. „თევზჭერის ოსტატები“ დავით ჩაბარაშვილი, ნოდარ კირკიტაძე და ალექსანდრე წიკლაური სასამართლოს განაჩენით ღირსეულად დაისაჯნენ.

ზაალ მესხინისარი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.



ჯაჭვადე კინაღამ სიცილით ჩაბუიდა, როდესაც საზოგადოებრივი გაიციხვა გამოუცხადეს. მან კვლავ აკრძალული ხერხით განაგრძო თევზჭერა, მაგრამ გგონია აცალეს ღამით თევზის ჭერა ჯაჭვადეს თევზდაცვის ინსპექტორებმა? არა! კვლავ თავზე წაადგენენ, ნადავლი თევზიც ჩამოართვეს და ამჯერად მის მიმართ სისხლის სამართლის წესით აღიძრა საქმე.

რუსთავის სახალხო სასამართლოს განაჩენით ვლადიმერ მოხვეიშვილსა და ავთანდილ ჯაჭვადეს თითო წლით შეუფარდათ გამასწორებელი სამუშაოები, ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. კონფისკაცია გაუკეთდა რეზინის ნავეებს და სათევზაო ინვენტარს.

ყვარელშიც არიან თევზის მოყვარულნი. ყვარლის რაიონის სოფელ გრემის მცხოვრები, გრემის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი დავით დიმიტრის ძე ჩაბარაშვილი, ყვარლის რაიონის სოფელ ენისელის მცხოვრები, ენისელის საბჭოთა მეურნეობის მუშა ნოდარ უშანგის ძე კირკიტაძე და თელავის ახმეტის ქუჩის № 2 სახლში მცხოვრები სასოფლო მშენებლობის სამინისტროს თელავის № 12 ტრესტის ტრაქტორისტი ალექსანდრე წიკლაური რუსთაველ „მეთევზეებს“ — ვლადიმერ მოხვეიშვილსა და



ნახ. ზ. მღრჩაძისა

— თევზებო, თავს უშველეთ!


საქართველო საქართველო

ნ.ბ. ლუპინაძის


თეატრული თეატრის

მუნასობი დიდების საწვრთნელ
ბაზასთან გავლის შემდეგ, როცა
პაერში ფეხბურთის სუნი
ტრიალებდა.
(გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს ე ბ უ რ ა დ)

რად ავიხივე ეს ბურთი —
სულის და გულის მდაღველი,
ან რად ვოცნებობ ამდენსა,
განა სხვა არ მაქვს ნაღველი?
სხვის ცაზე ოქრო ლივლივებს,
ჩვენთვის კი თუჯიც ლაღია!..
ჰაუ, რა კარგი დღე არის,
რა საფეხბურთო დარია!
სადა ხართ, პაიჭაძენო?! —
მოდით, დაგვიცხრეთ გულები
ავგივსეთ ბადე მეტოქის
ბურთების უზალთუნებით!..
თორემ ვბერდებით და გულმა
ლოდინის წბამი დაღია!
აფსუს, რა კარგი დღე არის,
რა საფეხბურთო დარია!




უსიტყვოდ



საბჭოთა
საბჭოთა
საბჭოთა

გულშემატკივარი

ნ.ბ. ჯ. ლოლუასი



დაემღურა ფიზკულტურას
და გასუქდა უცებ ზურას!..
რა უშველის ახლა ზურას?
აღბათ ისევ ფიზკულტურა!

მორის ფოცნიშვილი

სტამბისტიკა

- ჩვენი ორგანიზაციის ყოველი მეორე წევრი ფიზკულტურელია, ყოველი მესამე — „მშო“ ნიშნისანი, ყოველი მეოთხე თანრიგოსანი გახლავთ, ყოველი მესუთე — ოსტატობის კანდიდატი...
- მერე, სად ვარჯიშობს ამდენი სპორტსმენი?
- საქალაქო ტრანსპორტში!..

აკლუა შიცივალა

- ეჰ, ეს ბურთი მართლაც მრგვალი ყოფილა! — სინანულით თქვა „ჩიხურის“ თავდამსხმელმა, რომელმაც გადამწყვეტი მატჩის გადამწყვეტ მომენტში ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და ამპლუა შეიცივალა — რეგბის სექციაში ჩაეწერა.

პროგნოზი

- სპეციალისტების ვარაუდით, ჩვენმა გუნდმა დღეს უნდა მოიგოს!
- თვითონ ფეხბურთელები რას ამბობენ?
- სპეციალისტები ათამაშეთო!

წაბუბა-მოგაბა ძმები არიან

- რა ჰქენით, ბიჭო, მოიგეთ თუ წააგეთ? — ჰკითხა მამამ სტადიონიდან დაბრუნებულ შვილს.
- ჩვენი მეზობელი რომაა, კობალა, იმან ფეხბურთის ბურთი მოიგო, ჩვენ კი წააგეთ — 10 მანეთის ლატარიის ბილეთები შეგვჩრა ხელში!..
- ფეხბურთი?!
- ფეხბურთი ვის რაში აინტერესებს?!

აკლავ სტამბისტიკა

თბილისის „დინამოს“ მატჩებს 1985 წლის საფეხბურთო სეზონში სულ დაესწრო 1.853.400 მაყურებელი, რომელთაგან შინ თავგასიებული დაბრუნდა 643.200 კაცი, გულგასიებული — 710.200, განარებული — 0.

ა. ბარძანი



საბჭოთა და იუნიონის
შურნალი „ნიანგი“ № 4
(1710) თებერვალი. გამო-
ლის 1923 წლის იენისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლუვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ბაბუა ამირეჯიბი, ნომალი
პარტია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოლუა, ნოდარ მაღა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სინარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ქანსულ ჩარკვიანი, თამაზ
წივიციძე, ნათი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 23.01.
86 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 12.02.86 წ. ქა-
ლალის ზომა 60X90/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბანი 1,9, სა-
ქართველოს კვ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 181. უე 05027.
ტირაჟი 143.000. შურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებთ.


ჩვენი მისამართი: 380008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან — მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаватель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
ინდექსი 76137





შენიშნის მოლაპარაკებაზე პროგრესი შე-
საძლებელია მხოლოდ დამკვირვებელი კოსმოსური შეიარაღ-
დების სრული აკრძალვის პირობით. სხვაგვარად რომ
ვთქვათ, იმ პირობით, რომ ხელი აღიჭონ ვარსკვლავ-
ვეთის ომების“ პროგრამაზე, რომლის განხორციელებ-
ბას მოჰყვება სტრატეგიული ქაოსი, განანსლებული
შეიარაღების თვისებრივად ახალი, კონტროლს დაუ-
ქვემდებარებელი ეტაპი. სამწუხაროდ, ჩვენ ვხედავთ,
რომ „ვარსკვლავეთის ომების“ გეგმის განხორციელებ-
ბაში ჩაბმის დამოუკვეთი შედეგები ჭერ კიდევ სრუ-
ლად ვერ შეუგნიათ ვერც დიდი ბრიტანეთის, ვერც
ამერიკის შეერთებული შტატების, ზოგიერთი სხვა
უახლოესი მოკავშირის მმართველ წრეებს.

გ. ს. ზორბაჩოვი

კონტროლზე
ანგემიარნი